



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგელაძე აკაკი დიომიდეს ძე

მგელაძე აკაკი დიომიდეს ძე (10. VIII. 1912, სოფ. ზომლეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 27. II. 1985, ბათუმი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველო. სახ. არტისტი (1957). 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბათუმის თეატრში მსახიობად (1951-53 – დირექტორი). შექმნილი აქვს განსხვავებული ჟანრისა და ხასიათის სცენური სახეები: ქურუმი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), მურიკი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), მაზრის უფროსი (შ. დადიანის „გუმინდელნი“), გრიგოლა (ა. ყაზბეგის „მამის მკვლეელი“), ხევისბერი (ს. შანშიაშვილის „ხევისბერი“), ლაითაძე (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), კომანდორი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), კლავდიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „მსურველებს შეუძლიათ ჩაენერონ“ (1973) და „მე მოვედი“ (1981; ორივეს რეჟ. ა. ნინუა). მიუხედავად იმისა, რომ მ-ს პროფ. განათლება არ მიუღია, ჰქონდა თანდაყოლილი ალღო, სამსახიობო ნიჭი და ინტუიცია.
